სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

	Тфилисში	Гаугзаавн.

ამხანაგობისათვის: ისა სჯობია რომ ამხანაგობა მარტო ამანათათ შემოტანილ ფულს დასჯერდეს, თუ ამას გარდა სხვა ფულიც ვალათ აიღოს ხოლმე? ეს საქმე ძალიან საჭირო საქმეა; ამიტომ რომ ამანათათ შემოტანილი ფულის მიღება ბანკის სამართველოსათვის უფრო ადვილია, ფული ადვილათ გროვდება, და ვალათ ფულის აღებას კი მოცდა უნდა საერთო კრების გადაწყვეტისა. საერთო კრება ერთ წამში ხომ ვერ შეიკრიფება და დრო უნდება. ეს დროს გატარება მართალია ბანკის სამართველოს ცოტაოდე შრომას უმატებს. მაგრამ ამაებს არ უნდა უყურონ. ამხანაგობის სიკეთე მოითხოვს, რომ ყველა თავისის წესით სრულდებოდეს. ამხანაგობისათვის ვალის აღება უფრო სასარგებლოა, ამანათათ ფულის მიღებასა. ეს ამიტომ რომ ვალათ აღებულ ფულს დანიშნული ვადა აქვს, უფრო დიდის ხნით არის აღებული და ამხანაგობას ყოველთვის შეუძლია წინათვე შეაგროვოს ვალის გადასახადი ფული; ამანათათ შეტანილი ფულის გადახდასაც თუმცა ვადა აქვს და პატრონმა აღების წინათ უნდა შეატყობინოს, მაგრამ ამხანაგობას მაინც ძნელი საქმე შეემთხვევა, თუ ერთათ ბევრმა ამანათის პატრონმა მოითხოვა თავისი ამანათი. ეს ერთათ მოთხოვნა შეიძლება იმისაგან მოხდეს, როცა ერთი ორიოთ ამხანაგს ბანკის მმართველებთან უსიამოვნობა მოუვიდათ, მომდურავ კაცებს შეუძლიანთ ამანათის პატრონები ააყაყანონ და ფული მოათხოვინინონ. აი ამიტომ ამხანაგობა მარტო ამანათათ შემოტანილ ფულს არ უნდა ენდობოდეს და ვალის აღება ამიტომ საჭირო იქნება.

მეორეს მხრით ამხანაგობის ბანკისათვის ფულის აღება მარტო ვალითა არ ეთანხმება ამხანაგობის აზრსა, ამიტომ რომ იმისის აზრით ამხანაგებს მარტო სესხით კი არ უნდა ეწეოდეს, ცოტ ცოტა ფულის უკუგდებით და შენახვითაც უნდა ეწეოდეს. მაშ ამანათათ შემოტანილის ფულის აღებაც უნდა იყოს ბანკში.

ამისა გამოთ საბანკო ამხანაგობისათვის ყოველთვის სასარგებლო იქნება, რომ მარტო ერთ გვარი წესი არ დასდვას, ან მარტო ამანათათ ფულს აიღებო და ან მარტო ვალათ ვისესხებო; ეს კარგი არ იქნებოდა და საფიქრებელიც არის. უფრო უკეთესი ის იქნება რომ ამხანაგობა ორგვარათ იღებდეს ხოლმე ფულსა: ამანათათაც და ვალათაც. ამასთან ერთი რამ არის საჭირო, ისეთი წესი დასდვას ამხანაგობამ ამ ფულის აღებაში, რომ ამდენი და ამდენი ამანათის ფულის აღება შეიძლებაო და ამდენისა ვალისაო და ამ წესს დაადგეს სამუდამოთა. შეიძლება რომ ნახევარი ან მესამედი ფული ბანკისათვის გარედგან შემოსატანათ საჭირო ვალათ აიღოს ხოლმე ხანგრძლივის ვადითა, დანარჩენი კი ამანათათა. გადაწყვეტით რომა ვთქვათ, რა ზომისა ვალი და რა ზომის ამანათი სჯობიაო? ეს წინათვე გადაწყვეტით ყველა ადგილისათვის ვერ შეიძლება გადავსჭრათ. ზოგან იქნება ნახევარის საჭირო ფულისა ვალათ აღება სჯობდეს, ზოგან იქნება მესამედი იყოს საჭირო: ეს იმაზე ჰკიდია, სად როგელი მხრით უფრო ადვილი იქნება ფულის შოვნა, ამანათათ მიღებითა, თუ ვალის აღებითა?

საბანკო დებულების ოცდამეცხრამეტე მუხლში მოხსენებულია, რომ ბანკის გასამართავათ წინათვე თუ ვისგანმე ფულია შემოტანილი, როდესაც მმართებლობას უნდა წარუდგინონ საბანკო დებულება დასამტკიცებლათ, ამასთან ყველა დაწერილებით უნდა წარადგინონ დებულების ცალკეთა, რა პირობით აუღია ამხანაგობას ბანკის გასამართავათ ეს ფულიო. აქ ამას მოვიხსენებთ რომ, რადგანაც ჩვენ აქ მარტო დებულებასა ეხსნით, ამისათვის აქ არა ელაპარაკობთ და არ ვარჩევთ ამ პირობასა, თუ რა პირობით უნდა აიღოს ამხანაგობამ ფული ბანკის გასამართავათ, ან ბანკის გამართვის შემდეგ, როდესაც მოქმედებაშია. შაგრამ ზოგიერთს იქნება შევიწროებათ ეგონოს, რომ მმართებლობას როდესაც საბანკო დებულებას ურდგენენ დასამტკიცებლათ, ბანკის გასამართავ პირველ ფულის აღების პირობაც უნდა წარუდგინონო; ამისათვის უნდა ავხსნათ, თუ კანონი რათა თხოულობს ამასა.

როგორც წინათ მოგვიხსენებია, დებულების ოცდა მეხუთე მუხლის ძალით, ბანკის გასამართავათ რომ წინათ ფულს აიღებენ, ამას არ ანგარიშობენ ხოლმე, თითქოს ეს ვალი ამხანაგობაზე არ იყოსო, რადგანაც ძალიან დიდის ხნის ვადით იღებენ. იმისთვის, რომ დებულების ოცდა მეხუთე მუხლს ნამდვილი ძალა ჰქონდეს და წინათ ბანკის გასამართავათ აღებული ფული ვალათ არ ითვლებოდეს, ამისათვის საჭიროა, რომ წინათ აღებულის ფულის პირობა ცხადათ იყოს მოხსენებული. და აი ამიტომაც როდესაც ამხანაგობა მმართებლობას ურდგენს პირობასა,—ან თითონ დებულებაში უნდა იყოს მოხსენებული, ან ცალკეთ დებულების დამატებასავით უნდა წარუდგინოს მმართებლობასა დასამტკიცებლათა.

ამას გარდა კიდევ ეს მიზეზია: ბანკის გასამართავათ წინათ აღებულ ფულს ამხანაგობა რადგანაც დიდის ხნის ვადით იღებს ხოლმე, ამისათვის ბევრჯელ მოხდება, რომ ამ ფულის პატრონს ზოგიერთ საკუთარ პირობას უდებს ამხანაგობის მხრითა, ისეთ პირობასა, რომ ბანკის გამართვის შემდეგ ვალის აღების დროს არც ერთ ფულის პატრონთან არ უნდა დასდვას. ეს პირობა იქნება იმისთანა იყოს, რომ ფულის პატრონს საბანკო ამხანაგობის მოგებაში წილი მიეცეს ან კიდევ ბანკის სამართველოში მონაწილეობა მიეცეს, რომ სხვა მართველებთან ხმა ჰქონდეს. ეს საკუთარი პირობა, ისეთი პირობაა, რომ ამხანაგობაში არ უნდა იყოს სხვა ფულის პატრონებისათვის. ამისა გამოთ, რადგანაც ძალიან შორს არის საამხანაგო დებულებისაგან და რადგან ასეთი საჭირო

რამ არის, ამისათვის ცალკე უნდა დაიწეროს ეს პირობები და ცალკე უნდა დამტკიცდეს, როგორც საამხანაგო დებულება მტკიცდება. ეს ერთითაც იმიტომ არის საჭირო, რომ ბანკის გასამართავათ წინათ ფულის აღების დროს იქნება პირობაში ადვილათ მოხდეს შეცდომა და ეს შეცდომა იქნება ისეთი იყოს, რომ საბანკო ამხანაგობის საქმე სულ აურ-დაურიოს და სარგებლობის მაგიერათ დიდი ზიანიც მისცეს და ამხანაგობასაც ბოლო მოუღოს. ყველა ამაების მიზეზისა გამო ეს საკუთარი პირობა უეჭველათ კარგა გარკვევით უნდა წარუდგინონ მმართებლობას, დებულებასთანავე.

პეტ. უმიკაშვილი.

ამბები

ამ ჟამათ ექიმებს ლაპარაკი აქვთ ქალაქში, რა მოიგონონ რომ საქონლის ჭირი გააქრონ ჩვენ ქვეყანაში. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ერთი ერთმანერთზე საქონელს სხვა და სხვა ჭირი ეყრება და მრავალი იხოცება. ეს ამბავი მარტო ჩვენში არ არის. რუსეთშიაც და საფრანგეთის ქვეყნებში ამ უკანასკნელ დროებში ძალიან გახშირდა.

ამ ჭირის გახშირების მიზეზი ერთი ის არის, რომ საქონელს თუ კარგი მოვლა არა აქვს, კარგი საზდო და სასმელი წყალი, ზამთარში ბოსელი, ძალიანა ფუჭდება და შემდეგ ჭირი ეპართება.

მეორე მიზეზი ის არის, რომ ჭირიან საქონელს არ უფთხილდებიან, ერთი ქვეყნიდგან მეორე ქვეყანაში მიჰყავთ, იქ ჭირი სხვებს ედებათ, მერე ხშირდება და ამ გვარათ ერთი შორი ქვეყნიდგან სხვა ქვეყანაში გადადის. ამას გარდა ჭირიანი საქონლის ტყავსაც ჭირი ძალიან მისდევს. ასე რომ გამხმარი ტყავი უჭირო ადგილას ჭირს აჩენს.

აი ამაების გამო ექიმების საზოგადოებაში ლაპარაკია, რომ კარგი იქნებაო ჭირიანი საქონლისა და ტყავის გაყიდვა დაუშალონო. სოფლებში კარგი იქნება თვალ-ყური ადევნონ, რომ ჭირიანი საქონელი არ იყიდოს ვინმე და აგრეთვე არავინ არ გაჰყიდოს ან თვით საქონელი, ან იმისი ტყავი.

დიღმის მინდორზე, ივანე მუხრან ბატონის მამულზე, ბევრი სახნავი მიწებია, მაგრამ უფრო დიდი ნაწილი ურწყავია, დიდი ადგილი ყორუღლია და საძოვრათ დაგდებულია. ეს საძოვარი ადგილიც ისეთი უწყლოა, რომ ბალახიც რიგიანათ არ მოდის. სხვა ფრივ რომ წყლის გამოყვანა ვერ მოუხერხებიათ, ეხლა მტკვრიდგან უნდა გამოიყვანონ ჩარხებითა. ამბობენ ამ ჩარხების გაკეთება და წყლის გამოყვანა ერთ აქაურ ნასწავლ ყმაწვილს იოსებ მელიქოვს აუღიაო. წყალი ისე გამოვაო, რომ დიდ გზიდგან დაწყებული მტკვრამდინ რაც ადგილია, სულ მოირწყვისო. ეს ძალიან კარგი საქმეა. ეგება სხვაგანაც ჰკუაში დაუჯდეთ და ამის მაგალითით მინდვრებში ჩარხებით წყლები გამოიყვანონ.

ერთ სოფელში ქართლში სახელათ ატოცში ძალიან უწყლობას თურმე ითმენენ. სოფელში ერთი ისეთი პატარა წყარო მოდიოდაო, რომ ხალხს არა ჰყოფნიდაო და პირუტყვი ხომ სწორეთ მწყურვალობით იხოცებოდაო. ამ უკანასკნელ დროს ქუთაისის გიმნაზიის ქართული ენის ძველ მასწავლებელს ბატონს დიდებულიძეს გლეხებისთვის კარგი აზრი მიუცია, რომ პირი შეჰკრას მთელმა სოფელმა, ხარჯი იკისროს და წყაროები გამოიყვანოსო. გლეხობას ჰკუაში დასჯდომია, ფულის შოვნა რასაკვირველია გლეხს ეძნელება და ფულის მაგიერათ პური გამოუღიათ, დაუჭერიათ ბერძნები და გაუკეთებიათ ისეთი წყაროები, რომ სოფლის ხალხსაც და საქონელსაც ძალიან კარგათ ჰყოფნისო. სულ ეს საქმე ორმოც თუმნათ დასჯდომიათ და ესეც პურათ გადაუხდიათ. ამბობენ ეხლა სოფელი ასეთია, თითქოს გაცოცხლდაო. ღმერთმა ქნას ამისთანა საქმეები ხშირათ მომხდარიყოს და სხვა საჭირო საქმეებშიაც გამოჩნდეს ესე თემობის ერთპირობა. ქალაქის ახლოს სოფელს კუმისს ზამთარ-ზაფხულ წყალი სრულებით არა აქვს, აი ამ მაგალითს მაინც მიხედონ. თუ სოფელმა პირობა შეჰკრა და წყლის გამოყვანა მოინდომა, ჩვენ გაზეთს შეუძლია გამოცდილი და ნასწავლი კაცი მოუპოვოს, ოღომც კი შეგვატყობინონ.

შევიტყეთ რომ ქართლში ამავე სოფელს ატოცში პურის მაღაზიისათვის შენობას აპირობენო.

ქართლში სოფელს რუისში პატარა წყალი გამოუყვანიათ ამ რამდენიმე წლის წინათ. მაგრამ ისე იაფათ არ დასჯდომიათ როგორც ატოცში და არც ისე მთელ სოფელს ადგებაო. ეს წყარო დასჯდომიათ სამოც თუმნათ და მარტო ერთ უბანსა ჰყოფნისო, ისე პატარაა თურმე.

კავკავის რკინის გზის გასაყვანი ადგილების გასაშინჯათ ყოფილა ერთი მთავრობისაგან გაგზავნილი კაცი. ამისის აზრით რკინის გზა გუდამაყარზე ვერ გაკეთდებაო, რადგანაც გზას რომ კლდეში გახვრეტენ, იმ ხვრელში ისეთი ჰაერი უნდა ამოდიოდეს ქვეშკნელიდამ, რომ ხალხს დახოცავსო. ამის გამოთ რკინის გზის გაკეთება ისევ ქართლზე სჯობიაო; ეს გზა ცხინვალზე და ჯავაზე უნდა მიიდეს, მერე მთებს გაივლის ოსეთში და კავკავს მივაო. ამ საგანზე ჯერ კიდევ ბევრი გარჩევა იქნება.

აგერ რამდენი წელიწადია რაც ქალაქში საეკლესიო სანთლის ქარხანაა გაკეთებული. არქიელისაგან მიწერილია სოფლებში, რომ ვისაც წმინდა სანთელი აქვს გასაყიდი ქალაქში ქარხანაში იყიდიან ფუთს ორ თუმნათა. ამისთანაც მღდლებსა აქვთ ბრძანება, რომ თითონ სოფლებშიც გლეხებისაგან იყიდონ თერამეტ მანეთით ფუთი და მერე როცა ქარხანაში გამოგზავნიან მღდლებს ფუთზე ორ მანეთს მისცემენ. ზოგი სოფლის მღვდლები ასე აგროვებენ და გზავნიან, მაგრამ ბევრნი კი არა. ამისთვის სოფლებში საცა ფუტკარი ჰყავთ, გლეხებმა რომ ერთმანერთში მოაგროვონ და გამოგზავნონ ქალაქს სანთლის ქარხანაში, კარგი იქნება. ქარხანა სიონთან ახლოს არის, არქიელის სახლის გვერდით, სალაყბო მეიდანზე.

ამ წელს ზაფხულს ქალაქში ორიოდ სამიოდ მუშა კაცს, სტამბაში ასოების ამწყობებს მოუფიქრიათ ერთი კარგი საქმე. ორიოდ თუმანი ამოულიათ საამხანაგოთ, წიგნები დაებეჭდოთო. ორ-სამ თვეში კიდეც დაბეჭდეს სამი-ოთხი წიგნი და თითო შაურათ, შაურ ნახევრათ იყიდება.

აი რა წიგნებია: ბ ე ჟ ა ნ-მ ა ნ ი ჯ ა ვ ი ს ლ ე ქ ს ი, ფასი სამი შაური, ქ ა ლ-ე ვ ა ჟ ი ა ნ ი ფასი ერთი შაური, ა ლ ე ქ ს ი ა ნ ი, შაურ ნახევარი, ს ო ფ ლ უ რ ი ლ ე ქ ს ე ბ ი, ანდაზები და გამოცანები, ფასი ერთი შაური. ეს წიგნები ძალიან კარგათ ეყიდებათ ქალაქში, რადგანაც ხალხს ეს ნაწერები ადრეც წაუკითხავს. ამ წიგნების დამბეჭდველები არიან არსენ კალანდაძე და იაგორ ნერსესოვი. ცალ-ცალკე რომ მოენდომებინათ ამ პატარა წიგნების ბეჭდვა ვერ მოახერხებდნენ, გაუძნელდებოდათ და რაკი ამხანაგობით ერთი პირით იჭერენ საქმეს ადვილათ ‘ემარჯვებათ. კიდეც ამიტომ არის ნათქვამ: ერთის პირის ჭირიმეო და ორის ხელისაო.

ამ შემოდგომას ქალაქის მეიდნეზე ხშირათა ეხედავდით, რომ ურმებზე რუმბებით ღვინო იდგა და მყიდველი ხალხი უკლებლათ გარს ეხვია. მიზეზი ეს იყო რომ წვრილათ, თუნგობით იყიდებოდა და კარგა იაფათაც იყო. სირაჯებთან რომ თუნგს ათ შაურათა და სამ აბაზათა ვყიდულობდით, ურმით მომტანისაგან ორ აბაზათა ყიდულობდა ხალხი. ეს ღვინოები სოფლელებს მოჰქონდათ და მალეც ეყიდებოდათ. ქალაქის ხალხიც მადრიელი იყო ამ სიიფისა გამო. მაგრამ სირაჯებს კი ძალიან დაეკლდათ და ყაყანი დაიწყეს: ჩვენ ქალაქის ხარჯს ვეწევითო და მუშტარი კი დაგვეფთხოვო. ახლა ამბობენ უჩიელიათო და ამის გამო ნებას აღარ აძლევენ ურემზე ღვინის წვრილათ გაყიდვასაო. ეს რასაკვირველია გაუძნელებს გლეხებს ღვინის ჩამოტანასა. მაგრამ განა არ შეიძლება სირაჯებს გადაამეტოს გლეხების ოსტატობამ. სოფელში ვისაც ღვინო აქვს, ცოტ-ცოტათი ფული ამოიღონ, ბილეთი აიღონ ღვინის გასყიდვისათვის და ერთმანერთში გადასცენ. ღვინის გაყიდვის ნებართვის ბილეთი ხუთი თუმანი ღირს; ამ ბილეთის აღება ძნელი არ არის.

ამ უკანასკნელ დღეებში ქალაქში ხორაგი ესე ფასობს: ფქვილი კარგი ექვსი აბაზი, ქერი ათი შაური, ერმო გირვანქა ექვსი და შვიდი შაური, ზეთი თუნგი შვიდაბაზ უზალთუნი, ძროხის ხორცი გირვანქა შაური და ორი გროში, ცხვრისა შაური და ოთხი გროში, კვერცხი შაურათ ოთხი, შაქარი ფუთი ცხრა მანეთი, გირვანქობით აბაზი და ხუთი გროში, ზოგი ნაკლებ არის— გირვანქა აბაზი და ოთხი გროში. ღვინო დაბალი თუნგი ათი შაური და სამი აბაზი, ბამბა ერევნისა ფუთი ოთხი მანეთი, ამერიკისა ხუთი მანეთი და სამი აბაზი, გაპენტილი ბამბა რვა მანეთი, თუშური მატყლი ფუთი ექვსი მანეთი, თარაქამისა ოთხი მანეთი, აბრეშუმი შვიდი მანეთი, ქონი ფუთი ოთხი მანეთი და ათი შაური, ქონის სანთელი ფუთი ექვსი მანეთი, გირვანქობით სამი შაური და ორი ხან ოთხი გროში.

ღვინობის თვის ცამეტიდამ ოც და ერთამდინ იარმუკა იყო დუშეთში, როგორც წინა წლებში. უეზდის ნაჩალნიკის განცხადებით სოფლებში შეატყობინეს, რომ სოფლიდამ ვისაც რამ ხორაგეულობა ან საქონელი უნდოდეთ, შეუძლიანთ დუშეთში გასაყიდათ მოიტანონო. ეს რასაკვირველია დიდათ სასარგებლო საქმეა და ძალიან სასურველია, რომ სხვა ადგილებშიაც გაიმართოს ამ გვარი იარმუკები. ხშირათ სოფლებში გასაყიდი აქვთ და ან შორს უნდა წაიღონ გასაყიდათ ან სულ მუქთათ ჩარჩებზედ გაყიდონ. ეს იარმუკები რომ გახშირებული ყოფილიყო ჩვენში, ეჭვრები იქ მივიდოდნენ და გლეხებს კარგ ფასათაც გაეყიდებოდათ. მყიდველის ეჭვრისთვისაც უფრო კარგი იქნებოდა, რადგან სოფლით სოფლათ სიარული და წვალება აღარ მოუნდებოდა და ამის გამოთ ნასყიდიც ძვირათ არ დაუჯდებოდა. გლეხისათვის კიდეე იმითი იქნებოდა კარგი, რომ აქვე სხვა და სხვა საჭირო ნივთების ყიდვას შეიძლებს და უბრალოთ ქალაქს სიარული არ მოუნდება. ძალიან კარგი იქნებოდა დუშეთის იარმუკის ამბავი ჩვენთვის შეეტყობინებანა ვისმე.

ტყე რით არის საჭირო

ამ ჟამათ დიდი ლაპარაკია ყველგან მთელ დედამიწის ზურგზე ტყის გაჩეხაზე და გაწყვეტაზე. რუსეთშიაც და ჩვენშიაც ამ უკანასკნელ წლებში ბევრსა ლაპარაკობენ. ყველგანა შიშობენ მარტო შეშის დაკლებას კი არა, ჰაერის გამოცვლასაც და მოსავლის მოყვანასაც, ეს ამიტომ რომ ბევრი ქვეყნებია, რომ მინდერები და მთები გაფუჭებულა, არც

ხნავ-სათესათ ეარგა და არც დასადგომ
ადგილათა.

ტყე ჰაერს იმითი შეელის, რომ სიცხიან
ადგილს აგრილებს და სიცივეს აკლებს. უტ-
ეო ადგილს მზე რომ აჭერს, მიწა ხურდება
ა ჰაერს აცხელებს. ყანა და ბალახი თუმცა
წას უჩრდილებს და ისე არ ახურებს რო-
არც ტიტეელა ადგილი ხურდება, მაგრამ
ანც ტყის ჩრდილს ვერ შეედრება. ამის
�ათ ტყეში შუა ზაფხულის პაპანაქებაშიაც
გრილა. ეს სიგრილე ტყიდამ უტყეო მინ-
ორზე და ადგილებში იფინება და სიცხეს
ლებს. სიცივეს ტყე ასე აკლებს, რომ გა-
ებული ტიტეელა მიწა მზის ჩასელის
მდეგ ძალიან ჩქარა გრილდება და სით-
ს იშორებს; მწვანით და ტყით შემოსი-
ი მიწა კი ჩქარა არა გრილდება. ყანა და
ლახი ამ სითბოს იჭერს, მაგრამ ისე ვერ
ჭერს, როგორც ტყე თავისის დახურუ-
ს შტოებითა და ფოთლებითა. როდესაც
ტეელა მიწას სითბო შორდება და ცივ-
ება, დახურულ ტყეში დარჩენილი სითბო
�ა ამ სიცივესა და ამ გვარათ აკლებს
ცივეს ტყის გარეთა ადგილებში.

ტყეს ქარზედაც დიდი მოქმედება აქვს ამი-
, რომ როდესაც ქარი მოჰქრის, ტყეში
ელის დროს უძნელდება ქროლა და გა-
ელის დროს ისე ძრიელი აღარ არის,
გორც შესელის დროსა: თუ თბილი ქა-
მოჰქრის ტყეში, გრილდება ტყის სიგრი-
საგან და თუ ცივი ქარი მოჰქრის, უფრო
ება და ამ გვარათ ქარის ძალა იცელება.
ტყეს კიდევ წვიმის მოსელაზე დიდი ძა-
აქვს. ერთი გვარათ მოჰყავს წვიმა ხოლ-
ასე, რომ ტყიან ქვეყნებში დიდი გვალვა
დიდი ნიაღვრები ძალიან იშვიათათ მოხ-
ა ხოლმე, თითქმის არ მოხდება. ეს ამი-
მ, რომ ტყეში ყოველთვის სინოტიო
ს, რადგანაც ყოველი ხე თავის სარჩენათ
რს წყალს ისეამს, ფესვში, ღეროში და
თლებში ინახავს და იძლევა კიდეცა. სა-
ცა ტყე არ არის, იმისთანა ადგილს ხესა-
ვით წყალ შესმული და გაჟღენთილი არა
არის რა. ტიტეელა ადგილების სინოტიე
მზის სითბოსაგან მალე შორდება მიწასა და
ჰაერში ორთქლათ ადის, ტყიანი ადგილი კი
თავის სინოტიეს ინახავს და ძნელათ უშვებს.
ამასთანვე მიწიდამ ასულ სინესტეს ტყე ისე
იჭერს და არ უშვებს, რომ ქარმა წაიღ-წა-
მოიღოს, როგორც ტიტეელა ადგილებიდგან
მაქეს ხოლმე აქეთ იქითა. ამის გამო ეს სი-
ნესტე ტყის ახლო-მახლო ადგილებში რჩე-
ბა და ნელ-ნელა იფინება. უტყეო ადგილას
ამიტომ კიდეც საშინელი გვალვაა ხოლმე
და ყანასა და ბალახსა სწვამს და ახდენს.

როგორც ქვაბის ხუფს გამთბარი წყლის
ორთქლი ედება და მერე წყლათ იქცევა,
დედამიწიდგან ასული სინოტიეც ჰაერში ისე
გროვდება ორთქლათა, ამას ღრუბელს ეეძა-
ხით; სიცივისგან ცის ორთქლი ერთმანერ-
თან ერთდება და მერე წვიმათ ჩამოდის. ტი-
ტეველა უტყეო ადგილებში მზის სიცხე რომ
ძალიან ახურებს მიწასა, სინოტიო დედამი-
წას ბევრი შორდება და ჰაერში გროვდება;
რაკი ციცი ოდნე ქარი მოჰბერავს, მაშინვე
დიდი წვიმები მოდის და უეცრივ დიდი ნია-
ღვრები გადმოექანება მთასა და მინდორს
და სულ ერთიანათ წალეკავს. ეს, როგორ-
ცა ვთქვით, იმისგან არის, რომ ტიტეელა
ადგილიდგან ძალიან მალე და ბევრი სინო-
ტიო ადის ჰაერში.

აი ამ გვარათ ტყეს დიდი ძალა აქვს ჰაე-
რის სითბოზე და სიცივეზე, და აგრეთვე
წვიმაზე და გვალვაზე. მოსაველიც ამ ჰაერ-
ზე და წვიმაზე არა ჰკიდია, რომ გლეხი კა-
ცი შიშითა და კრძალვით უყურებს, ჰაი წვი-
მა არ მოვიდესო, ჰაი გვალვამ არ გამიქარ-
წყლოს ჭირნახულიო. ტყიან ადგილს, საცა
დიდი სიცხეები და ყინვები არ იცის და ჰაე-
რი ერთნაირია, იმისთანა ადგილს სახნავ-სა-
თესი მინდორი კარგა მოსავალს მისცემს
კაცსა. თუ უტყეოა, რაც უნდა მომცემი
მიწა და სასუქ ნაყარი იყოს, არა გახდება რა.

ერთი უბედურება უტყეობისგან უწყლო-
ბაა. საცა ტყე გაუკაფავეთ, წყაროები და წყლე-
ბი შრება, დიდი მდინარე წყლებიც კი პატარ-
დება. ეს ამიტომ რომ მიწა წვიმას უტყეო
ადგილს კარგად ღრმათ არ შეისავამს ხოლმე
და ისე პირათ მიდის, მეტადრე თუ დაბლო-
ბი ჩავარდნილი და ჭაობიანი ადგილიც არ
არის. ამის გამო წვიმის წყალი სრულებით
უეცრად მიდის მიწის პირათ, ჩაეშვება წყლებ-
ში და მიწას არ ეჟღინთება. საცა ტყეა,
იქვე კარგი სატიეო სატარებელი მდინარე
წყლებია, თითქოს განგებ გაჩენილიყოს, რომ
ხალხმა შეშის და ტიეის გატანა წყლით შეი-
ძლოსო. საცა კი ტყე არ არის, იქ დიდი
ტიეის სატარებელი წყლებიც არ არის. აი
კიდეც ეს არის, რომ თან და თან ჩვენი დი-
დი წყლები პატარდება ხოლმე.

უტყეობით აბა რამდენი ზიანი მოსდეეს
კაცს და პირუტყეის სიცოცხლესა? რაკი
ტყე გაიკაფა და ჰაერი იცელება, სიცხეები-
საგან ათას ნაირი ავათ მყოფობა ჩნდება და
ხალხს ნელ-ნელა აცოტავებს, შეშის კლება
შენობისათვის და დასაწველათ ადამიანს და
პირუტყეს გაჭირვაში აგდებს, გვალვისაგან
ჭირნახულის მოუსელელობა ავათმყოფობასა
და შიმშილს ჰბადებს; ამავე სიცხისა და გვალ-
ვისაგან პირუტყეის ავათმყოფობა ხშირდება;
მინდორში რომ გვალვისაგან ბალახი არ
არის და ბზეც თითქმის არ იშოვება, უტყეო
ადგილს პირუტყვი იმისთანა საცოდაობაშია,
რომ შიმშილის გამო ტყის ფოთოლი და
ბალახიც კი ვერ უშოვნია.

აი ამ გვარათ ტყეზე ჰკიდია ჰაერის სიკე-
თე, მოსაველის ავკარგობა, წყლის ქონვა, ადა-
მიანისა და პირუტყეის სიშრთელე.

რა ადვილათა ჰკაფენ ტყეებსა და რა ძნე-
ლი მოსაშენებელია! ერთი წელიწადში რომ
ტყეს გაჰკაფენ, იმისთანა ტყის მოშენებას
ასი და ორასი წელიწადი მოუნდება. მოდით
და ნუ გაუფუთხილდეთ ტყესა.

სამეურნეო ნაწილი

ქათმის გამოკვება

(შემდეგი)

ფრინველს უცხო ქვეყნებში ცოცხალს არა ჰყიდიან ბაზარში. ყოველთვის დაკლული და გაბდღვნილი მიაქვთ ქალაქებში. ისე ლამაზად და სუფთათა ბდღვნიან, რომ კაცს იამება და ჩვენსას არა ჰგავს, რომ შავათ გარუჯული კაცს ნაავანტყოფარი ჰგონია და მუშტარი ფთხება.

გამოკვებილ ყვერულსა და უბრალოთ შენახულ ქათამს ისე სჭრიან ყელსა, რომ სისხლი კარგა დაეწუროს. ბატსა და იხვს კისრის ძირში მაგრათა ჰკრავენ ჯოხსა ან დანის ყუასა და ყელს არა სჭრიან, ქათამსავით არ იციან დაკვლა ისე, როგორცა ჰკვლენ ჩვენში. ფრთებსა და ბუმბულს ისე ნაზათ უნდა ბდღვნა, რომ კანი არ გაუფუჭდეს და არ დაეგლიჯოს. გაბდღვნის შემდეგ წყლითა რეცხენ და ნაჭრითა სწმენდენ. სითეთრისათვის ხან-და-ხან პურის ქატოთი ხეხენ.

სახვალეოთ გასაყიდი ფრინველი წინა ღამეს უნდა დაჰკლან.

სხვა ქვეყნებში შინაურ ფრინველებს ბევრგან ისე აშენებენ, როგორც ჩვენში ცხვრის ფარებისა და ღორის გაშენება იციან. სოფლებში დიდი უზარმაზარი საქათმეები აქვთ და იქ ინახავენ. ბევრი კაცი გამდიდრებულა მექათმობითა და როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, იმ გვარის შენახვით საფრანგეთში ბევრი ძალიან მალეც გამდიდრებულა.

ამ უკანასკნელ ჟამში რამდენისაგანმე გაგვიგონია, რომ აქაური მოქალაქე კაცები სოფლებში ქათმის დიდ მოშენებას აპირობენ და ძალიან სარგებლობის იმედიცა აქვთ. იმაზე უკეთესი არა იქნება რა, რომ ჩვენმა სოფლის ხალხმა იფიქროს ეს საქმე. მეტადრე რომელი სოფლებიც რკინის გზის ახლოს არის, იმ სოფლებისათვის ძალიან ადვილი იქნებოდა ქალაქში ჩამოტანა დაკლული მფრინველისა. ეხლა ქალაქის ჩარჩები ამ რკინის გზით მიდიან აქა იქა სოფლებში, აგროვებენ ფრინველეულობასა და ქალაქში ჩამოაქვთ და ერთი ორათა ჰყიდიან. თუ კი ესენი სარგებლობასა ხედავენ, უეჭველია რომ გლეხებმა თუ თითონვე მოაშენეს, უფრო მოგება ექნებათ. ქალაქში უფრო იაფათ გაიყიდება, გლეხს მეტი სარგო ექნება და იმის ნაჭირნახულევს ჩარჩი არ შეშჭამს.

დიდი საქათმის გაკეთება და ფრინველის მოშენება იქნება ერთს კაცს გაუძნელდეს. ამისათვის რამდენსამე კაცსა და ქალსა ერთათ შეუძლიათ ამხანაგობა და ისე გამართვა, როგორც ხანული იციან; ეს ძნელი არ იქნება. აგრეთვე ადვილათ შეუძლიათ რომ რამდენმამე ოჯახმა თანასწორათ ფრინველი გამოიყვანოს, და ერთი კაცი აიჩინოს, როგორც მენახირეები ჰყავთ, ჩააბაროს იმასა. უფრო უკეთესი იქნება რომ მთელმა სოფელმა მოახერხოს. საჭირო მარტო ის იქნება, რომ საქათმე ააშენონ და წყლიანი გაშლილი ადგილი იშოვნონ. საქათმის აშენება ძნელი არ იქნება და ძვირი. აგრეთვე ძნელი საშოვნელი არც ადგილი იქნება; ფრინველეულობა ხომ ყველასა ჰყავს.

ერთის მხრით საერთო მთელი სოფლისათვისაც ძალიან კარგი იქნება, რადგანაც ხშირათ შინაური ფრინველი ბაღსა და ვენახს უფუჭებს და კალოების დროს ხომ მოსვენება აღარა აქვთ დედაკაცებსა. ცალკე და სოფელს გარეთ რომ იქნება სათემო საქათმე, შინ ძალიან ცოტას შეინახვენ და წვალება აღარ ექნება. ერთი სიტყვით ისეთივე კარგი საქმე იქნება, როგორც ეხლა მენახირეები კარგ საქმეს უშვრებიან გლეხებსა.

რამდენი წელიწადი უნდა შე[illegible] ნახონ ქათამი.

ამ უკანასკნელ დროს გამოუკვლევია[illegible] დედალ ქათამს რამდენი ქურუთი აქვსო, რო[illegible] ტყუილათ მეტი ხანი არ შეინახონო. გამ[illegible] კვლევით შეუტყვიათ, რომ ქათამს სუ[illegible] ექვსასი ქურუთი აქვს. ეს ქურუთი შემდ[illegible] კვერცხად იქცევა. ქათამი ამ ქურუთს კვ[illegible] რცხათა სდებს, როდესაც მოიზდება ამგვარა[illegible] პირველ წელიწადს—ოც (20) კვერცხ[illegible] მეორე წელიწადს ას ოცსა (120), მესამეს — ას ოც და თხუთმეტს (135[illegible] მეოთხეს — ას თოთხმეტსა (114)

მეხუთე, მეექვსეს, მეშვიდეს და მერვე [illegible] ლიწადს თან და თან იკლებს ისე რომ მ[illegible] ცხრე წელიწადს ათს (10) კვერცხს ძლი[illegible] სდებს. ამისაგამოთ რომ ვიანგარიშოთ ქა[illegible] მის საჭმელის ხარჯი და ქათმის შენახვა ექ[illegible] წელიწადზე მეტათ არა ღირს. უფრო ანგ[illegible] რიშით რომ დავიწყოთ ოთხი წელიწა[illegible] მეტი არუნდა შევინახოთ.

საექიმო ნაწილი

ზოგიერთი შინაური წამლებ[illegible]

მდოგვი

მდოგვი (რუსულათ გარჩიცა) ჩვენს [illegible] ლაქებში დაფქვილი იყიდება და ცოტცო[illegible] აქა იქა ჩვენს სოფლებშიც სთესენ. ამას [illegible] რო სუფრაზე ხორცს ატანენ და წამლო[illegible] ში კი მარტო გაციებულს ადებენ. ს[illegible] ფრივ არა ხმარობენ, რადგანაც არ იცია[illegible]

დაფქული მდოგვი წყალში ან არა[illegible] რომ გახსნან და დღეში ორი ან სამი [illegible] კოვზი დალიონ, წყალმანკის ავათმყოფ[illegible] თვის, სურავანდისათვის, ხორხიანი ქოშ[illegible] სათვის კარგი სახმარებელია. აგრეთვე ვი[illegible] მადა დაუკარგავს, სისუსტე აქვს ან გუ[illegible]ს ხორხი მოსწოლია, ამასთანვე შეიძლ[illegible]ეს სანელებლათაც იხმარონ საჭმელში. თა[illegible]

ხმას, მძიმე ძილს და წელებში რომ ხორ-
მოგროვდება, ამაკს არგებს. ხან გამო-
ებითს ციებას მდოგვი ხანდისხან ისე
ებს, რომ ქინაქინის მარილს სჯობია, და
ოს მიღებასთანვე გააშვებინებს. ქინაქი-
ს მარილმა კიდევ ის იცის, რომ კუჭს;
ესტებს და მადა ეკარგება ავათმყოფსა-
ოგვი კი კუჭს უფრო ანელებინებს საჭ-
ლსა და მადასაც არ უკარგავს.

მდოგვს გარედგანაც ხმარობენ ხოლმე.
ციებულსა და ჭვლიანს ახმარებენ ამ გვა-
ოთ: ტილოს ან მიტკლის ნაჭერზე ნახევარ-
წაგლესენ წყალში კარგა არეულ მდოგ-
და მეორე ნახევარს ნაჭრისას ზედ გად-
ჭკეცვენ, რომ ტანზე არ დარჩეს მდოგვი,
ისე დაფარებენ ხოლმე გვერდებზე, ბე-
ბზე, წელზე, გულზე; და სანამ კარგა არ
ეწოდეს ხორცი, არ უნდა მოაშორონ.
ს გარდა კიდევა ხმარობენ ასე, რომ ძმა-
, მჭაეე ცომს, ხაშს ან პურის გულს მდო-
თან ურევენ და დაადებენ ხოლმე დახუ-
ულსა და დამბლა მოსულ ტანის ნაწილსა;
რეთვე თავზე ტკივილის და ანთების დრ-
სა, როდესაც ავათმყოფი ბოდვაში და
ორანშია.

თუ საჭიროა რომ ძალიან დასწვას მდოგ-
ა, მდოგვს რამდენიმე ჩაის კოეზი წერი-
ათდაჭრილიწიწაკან ხრენი უნდა შეურიონ.
საჭიროა როდესაც დამბლა მოსელია
ათმყოფსა, ან ძილქუში დასწოლია, ან
ადარს დამსგავსებია.

ცხელ წყალში გახსნილი მდოგვით პირის
მოვდება ძალიან უხდება ენა ჩავარენილ-
და ენა დაბუჟებულსა. გაციების დროს
ხის ჩაწყობა ცოტა მდოგვ არეულ თბილ
ალში უხდება გაციებულსა და ოფლს
რგა უძრავს.

ზემოთა ეთქვით, რომ მდოგვის დაფარე-
ს კარგა ხანი უნდა, სანამ კარგა დასწვა-
ეს ხორცსაო: მაგრამ აქ უნდა მოვიხსენოთ,
ომ ნაზი ჯგებულობის ადამიანსა და სუს-
ტსა, მეტადრე დედაკაცებს თუ სიანჩხლის ან
ტირილის ალები მოსდით, მდოგვი ისე
დიდხანს არუნდა დააფარონ, რომ არ აუწი-
თლოს ხორცის კანი და თრთოლა არ მოჰ-
გვაროს. ეს სიფრთხილე საჭიროა. ვისაც
ელქუნით სუსტი ხორცი აქვს, დიდხანს თუ
მდოგვი დაფარეს, ტანს დაუწყრულებს.

ჯანმრთელი ადამიანისთვისაც მდოგვი
მარგებელი და სასიამოვნო სანელებელია
საჭმელთანა. წყალში არეული შაქრითა და
ძმრით და ცეცხლთან დამდგარი ერთს ორ
საათს, ისეთი სანელებელი კეთდება, რომ
ხშირათა ხმარობენ სუფრაზე. ამ გვარათ
გაკეთებულ მდოგვს მოხარშულ ხორცს და
თევზს გლესენ ზედა და მირთმევენ. ეს
სანელებული კუჭს კარგა ანელებინებს,
სასიამოვნო სითბოსა გრძნობს კაცი მუცე-
ლშია, სისხლს წმინდათ ინახავს. მაგრამ
ამასთან უნდა ეთქვათ, რომ მუდამ დღე
მდოგვის ხმარება სადილათ არ ვარგა.

მდოგვის მაგიერათ ბევრჯელ ხრენსა
ხმარობენ, მაგრამ მდოგვის ადგილს ვერ
დაიჭერს, ამიტომ რომ ხრენი ძნელი მოსა-
ნელებელია და მეტადრე სუსტ კაცს გულ-
ზე აძმარებს, წვა აქვს და გუნებაზე ავ ზნე-
თა ხდის. გაშვებული ციება და სხვა ავათ-
მყოფობა ხრენის ხმარებით ავათმყოფს
დაუბრუნდება ხოლმე. ამისათვის მდოგვი
ყოველთვის ხრენს უნდა ამჯობინონ.

მდოგვი ჩვენში სხვა ქვეყნებიდამ მოაქვთ
და გირვანქა ქალაქში ფასობს ორი აბიზი-
დამ ოთხ აბაზამდინ. რუსეთში ზოგი ერთი
სოფლებია, რომ მარტო მდოგვი მოჰყავთ.
ძალიან სასარგებლო იქნებოდა, რომ ჩვენ-
სოფლებში დაეწყოთ ამისი მოყვანა.

ატმისა და ეკლის ყვავილი.

ატმისა და ეკლის ყვავილი ჩაისავით უნ-
და მოხარშონ და შაქრით ასვან. ეს წამალი
მეტადრე ყმაწვილებს უხდებათ; როგორც
სასაქმელი, ისე სჭრის, მსუბუქი სასმელია,
სატკივარს აყუჩებს და ჭიასაც გარეთ გამო-
აყრევინებს ხოლმე. ყმაწვილებს ხშირათ რე-
ვანდს ასმევენ, ძალიან კუჭსა სწყინს. ეს
ატმისა და ეკლის ყვავილი რევანდსა სჯო-
ბია, ხანდისხან ამას თეთრ მაგნეზიასაც ურე-
ვენ.

სამეცნიერო ნაწილი

ჰაერში, რა ხდება და რა უნდა იცოდეს მხვნელ-მთესველმა.

II

როგორც წინათ იყო ნათქვამი, მზე გეთ-
ბობს და გვინათებს კიდეც; მზის სინათლე
ძალიან საჭიროა მცენარესთვის. ენახოთ რის-
თვის არის საჭირო მზის სინათლე? ტყის ნა-
პირას ხეები დაბლები, ხშირათ მრუდეები და
მრავალ ტოტებიანნია, ამიტომ რომ ამ ხეებს
სინათლე მგრგვლივი აქვთ; შუაგულში კი
ხეები სწორეები, მაღლებია და ტოტებიც
არა აქვთ ძირში; ეს ამიტომ მოხდება, რომ
ტყის შუაგულის ხეებს სინათლე მარტო ზე-
მოდგან დასცქერის და ამიტომ ისინი მაღლა
მიდიან. თვით ფურცლების სიმწვანე და ყვა-
ვილების სხვა და სხვა ფერობა დამოკიდებუ-
ლია მზის სინათლეზე. ხის ფესვები, სადაც
სინათლე ვერ მიახწევს ხოლმე, მუდამ თეთ-
რია. ბნელს ალაგას რომ დაერგათ ხე, გა-
ფუჭდება, დაჭკნება, ფურცლები გაუყვითლ-
დება და ნაყოფს ვერ მოიტანს. სინათლეში
დამწიფებული ვაშლი უფრო გემრილია და
ქერქიც უფრო წითელი აქვს იმაზე, რომე-
ლიც ჩრდილში მწიფდება. მაშ სინათლე მცე-
ნარისთვის საჭირო და მარგებელია.

სითბოს და სინათლის გარდა მცენარის-
თვის საჭიროა კიდევ ის სინოტიე, რომე-
ლიც ჰაერშია. სინოტიე და წყალი ჯერ თა-
ვათ მცენარისათვის საჭმელია და მერე ამი-
თი ადგება მცენარესა, რომ მაგარი საჭმელი
წყალში იხსნება და იშლება. ეს რომ არ ყო-
ფილიყო, მცენარე თავის ფესვებით ვერ შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევმდა მაგარ საქმელსა. სინოტიე და წყალი
რომ არ იყოს მიწაში, დათესილი თესლი არ
გაღვივდებოდა და არ ამოვიდოდა. სინოტიე
და წყალი ქვიშიანსა და რბილ მიწას ჰკრავეს
ერთმანერთანა და მზისგან ძალიან არა ხურ-
დება.

ახლა ენახოთ საიდანა ჩნდება ჰაერში სი-
ნოტიე? ზამთარში ყინვის დროს ქუჩიდან
ხახალში რომ შევიდეთ, კარებს მაშინვე ორთ-
ქლი ეცემა; კარებს რომ შეეხედოთ, დავი-
ნახამთ ზედ წინწკლებს. ეს ამიტომ მოხდება,
რომ კარები ციოდება და სახლის ორთქლი
ხედება გაცივებულს კარებს და იქცევა ნა-
მათ, წყლათ. მაშასადამე ორთქლი სიცივის-
გან წყლად გარდაიქცევა. წყალს რომ ვადუ-
ღებთ, ეხედავთ რომ წყლისგან ადის ორთ-
ქლი; დიდიხანი რომ ვადუღოთ სულ რაც
ქვაბში წყალი იყო, ორთქლათ იქცევა; აქედ-
გან შეგვიძლიან შევიტყოთ, რომ წყალი
სითბოსგან ორთქლათ იქცევა და ახლა
ადვილათ შევიტყობთ, საიდან არის ჰაერში
სინოტიე: ზაფხულში წყალი წყაროებში,
მდინარეებში და ტბებში ხურდება მზისგან
და იქცევა ორთქლათ, რომელიც სიმსუბუ-
ქის გამო ადის ჰაერში. მინამ ჰაერში თბი-
ლა, ორთქლს ჰაერში ვერა ეხედავთ; როცა
ორთქლი ჰაერში ბლომათ შეგროვდება, მა-
შინ ის ჩვენ გვეჩვენება ღრუბლათ. ამ ღრუ-
ბელს ციცი ქარი რომ დაჰქროლებს, მოიკუნ-
ჭება და ნამად იქცევა. რადგანაც ამნამს ვერ
დაუშაგრებია თავი, ამიტომაც ჩამოდის მი-
წაზე და ამისგან მოხდება ხოლმე წვიმა. ზამ-
თარში ეს ცვარები მიწაზე ჩამოსელამდინ
იყინებიან ჰაერში და ამისგან მოხდება ხოლ-
მე თოელი; აგრეთვე ციცი ქარებისგან ეს
ცვარები ღრუბელშიე იყინებიან და ამისგან
მოხდება ხოლმე სეტყვა.

მაშ სინოტიე მოდის წყლისგან და ადის
მიწიდგან ჰაერში ორთქლის მაგიერ. ჰაერში
გროვდება ღრუბლად და ისევ ეცემა მიწაზე
ან ნამათ, ან წვიმათ და ან თოელათ. აქედ-
გან ჩვენ ვიტყობთ, რომ სინოტიე დედა
მიწიდან ადის ჰაერში და ჰაერიდგან ჩამო-
დის ისევ მიწაზე. ეს ასრე რომ არ იყოს,
მიწაზე რაც წყალია დალპებოდა, მცენარეე-
ბი სულ ერთიანათ გახმებოდა.

ჰაერში სინოტიე ერთ ალაგას უფრო ბე-
ერია მეორეზე. ტბის ან მდინარის სიახლო-
ვეს უფრო ბეერჯელ იცის წვიმა და უფრო
მეტია ნამი და ბურუსი. აქედგან სჩანს, რომ
ამ ალაგებში სუყველთვის ბევრი სინოტიეა
ჰაერში მთიან ალაგებზე და მაღლობებზე
უფრო მეტი წვიმა იცის ვიდრე დაბალს და
ჩაეარდნილ ალაგებში, ამიტომ რომ მთებზე
და მაღლობებზე ჰაერი უფრო ციცია. ღრუ-
ბელი მთაზე რომ გადაიცვლის ხოლმე, მაშინ
ორთქლი, ღრუბელი მთის ციცე ჰაერის გამო
ციოდება, იქცევა ნამად და მოდის წვიმა. შეტ-
ყობილია რომ თბილ ქვეყნებში უფრო ბე-
ერი წვიმა მოდის, მინამ ცივ მხარეებში.
თუმცა რიცხვი წვიმიანი დღეებისა ცხელ მხა-
რეებში ნაკლებია ცივ მხარეებისაზე, მაგრამ
ცხელს მხარეებში დიდი წვიმები იცის და
ცივში კი პატარა. წვიმა ყველაზე მარგებე-
ლია გაზაფხულზე თუ პატარა არის და
ხშირათ მოდის.

მაშ სინოტიე ჰაერში სუყოველთვის არის
და ძალიან საჭიროა.

როგორც ზემოთა ვსთქვით, ჰაერი ყო-
ველთვის მშვიდი არ არის; ხან მშვიდია, ხან
ქარიანია. ენახოთ რისგან არის ქარი და რა
სარგებლობა მოაქვს ან რა ზიანი?

ზამთარში თბილი ოთახის კარი, რომ-
ელიც პირდაპირ ქუჩაში გადის, ცოტათი რომ
გავაღოთ, ენახავთ რომ კარის ძირიდგან
ოთახში შეავ სიცივე; კარზე რომ გავიდეთ
და დავდგეთ კარებთან, ენახავთ, რომ გაღებუ-
ლი კარის ზემოდგან გადის ქუჩაში ორთქლი
და თბილი ჰაერი. რისგან მოხდება, რ
ორთქლი და თბილი ჰაერი გადის გარ
კარს ზემოთ და ციცი ჰაერი შემოდის
რიდგან? იმისგან, რომ ციცი ჰაერი მძ
თბილზე და ამიტომ ჩადის ძირს, თბილი
რადგანც უფრო მსუბუქია, ადის მაღ
ამას გარდა ყველამ კარგათ იცის, რომ
ყველაფერს ერთნაირათ არ ახურებს; ქვა
ხე ერთად რომ დაედვათ მზეზე, ენახა
რომ ქვა უფრო ძალიან გახურდება ხე
აგრეთვე ქვიშიანი ალაგი უფრთ ძალ
ხურდება თიხიანზე. მაშ ჰაერი ქვიშიან
გილს უფრო თბილი უნდა იყოს დახურუ
ან ტყიანს ადგილებზე. ერთის სიტყვით
დამიწაზე ჰაერი ერთნაირათ არა ხურდება
ამიტომ ყოველთვის ჰაერი მოძრაობაში
და იყოს: ციცი ალაგების ჰაერი მიდის
მოთა მხრებში და თბილი ალაგებისა ა
ზემოთა, ისე როგორც სახლიდგან ე
თბილი ჰაერი გამოდის და ციცი შედის
ამ ჰაერის მოძრაობისგან მოხდება ქარი.
ხან სითბო მოაქვს, ხან სიცივე, ხან ღ
ბელი, ხან წვიმა; ეს იმაზე ჰკიდია, საიდ
უბერავს ქარი, ზღვიდგან, თუ ხმელეთიდგ

ყველაზე ციცი ქარები არიან ჩრდილო
თისა. ჩრდილოეთის ქარებს მოაქვთ სიცი
დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის
რებს, რომელნიც ზღვიდგან უბერვენ, თ
ქმის ყოველთვის წვიმა ან სინოტიე მოა
და ამ დროს ცა მოღრუბლულია.

აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსაღ
თის ქარებს, რომელნიც მინდვრიდგან
ხმელეთიდგან უბერვენ, მოაქვთ გვალვა
ამ დროს ცა წმინდა და ულრუბლოა.

ყველაზე თბილი ქარები სამხრეთისანი არ
მაშ ქარი მარგებელიც და მაენებელ
არის. მარგებელია, როცა უბერავს გაზ
ხულზე და აშრობს ნოტიოანს ალაგს, რ
ცავს ალაგებში მოაქვთ სითბო და ცხელ
ში – სიგრილე და წვიმა. ქარი არხევს მ
ნარეს და ამის გამო უფრო კარგათ იზდ
ქარი მაენებელია, როცა ხშირათ და ძ
ლათ უბერავს, მეტადრე თუ მცენარე
არის დაფარული. ამიტომ ზღვის სიახლო
იმ მხარეს საიდგანაც უბერვენ ქარები, ხ
დაბლები, მრუდეები და უშტოებია. უთ
მაენებელია ქარი პურის ამოსელის დრ
როცა ყვავის და თავთავს იძლობს. რ
პური ყვავის და თავთავს იძლობს, მაშინ
ჭირია მშვიდი უქარო ჰაერი.

გ.

Дозволено цензурою Тифлисъ, 31 Декабря 1873 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელ